ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის

ო ქ მ ი #4

ქ. ონი 21. 04. 2022 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გივი მეტრეველი.

სხდომას კომისიის 11 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: გივი მეტრეველი, ბესიკი მაისურაძე, მერაბ ბიჭაშვილი, რევაზ საბანაძე, ნონა მაისურაძე, ემზარ საბანაძე, ბიძინა ყიფიანი, ნინო გობეჯიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ-ონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი თეიმურაზ გრძელიშვილი, მერიის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის ეკონომიკის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მოისმინეს: 1. კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

მომხსენებელმა სხდომას გააცნო ინფორმაცია კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდინარეობის შესახებ და ისაუბრა კურორტ შოვის ტერიტორიის და მისი შემადგენელი კომპონენტების არსებულ სავალალო მდგომარეობაზე და აღნიშნა, რომ კურორტ შოვის მდგრადი განვითარების, ადგილობრივი მოსახლეობისა და დამსვენებლებისათვის ჯანსაღი, ღირსეული, მიმზიდველი და უსაფრთხო ცხოვრების, დასვენებისა და საქმიანობისათვის შესაბამისი გარემოს ჩამოყალიბებისათვის და მართვის სამართლებრივ-ნორმატიული წინაპირობების შექმნისათვის, საჭიროა დროულად მოხდეს კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის საბოლოო დოკუმენტად ჩამოყალიბება და ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მისი

დამტკიცება, რათა შეიქმნას სამართლებრივი საფუძვლები კურორტის შემდგომი განვითარებისათვის. არსებული საკითხის დროული გადაწყვეტის მიზნით, საჭიროა მოხდეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯერება, რომელიც დღემდე არ არის მიღწეული ან უკიდურეს შემთხვევაში ინტერესთა შეჯერება მოხდეს საქართველოს კანონის ,,სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ შესაბამისად და აღნიშნა, რომ საჭიროა უახლოეს დღეებში გაიმართოს სამუშაო შეხვედრა მერიის შესაბამის დროებით სამუშაო ჯგუფის წევრებსა და დაინტერესებული კერძო მესაკუთრეების საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის, რათა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის შესაძლებლობის ფარგლებში შეჯერება.

საკითხის ირგვლივ გაიმართა კამათი. აზრი გამოთქვეს: თ. გრძელიშვილმა, მ. ბიჭაშვილმა, მ. გობეჯიშვილმა.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

2022 წ. 21 აპრილს გაიმართა ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა. კომისიამ სხდომაზე განიხილა საკითხი:

1. კურორტ შოვის განაშენიანების რეგულირების გეგმის მიმდინარეობის შესახებ.

მომხს. გივი მეტრეველი-კომისიის თავმჯდომარე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ კომისიის სხდომაზე გადაწყვიტა, ეცნობოს მუნიციპალიტეტის მერს-საკითხის დროულად გადაწყვეტის მიზნით უზრუნველყოს სამუშაო შეხვედრა მერიის შესაბამის დროებით სამუშაო ჯგუფის წევრებსა და დაინტერესებული კერძო მესაკუთრეების საინიციატივო ჯგუფის წევრებს შორის, რათა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესებს შორის შესაძლებლობის ფარგლებში შეჯერება.

გივი მეტრეველი

კომისიის თავმჯდომარე